

UDC 634.8

SCOPUS CODE 1101

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-29-37>

## ველური ვაზის სახელწოდებები საქართველოში და მისი ეთნობოტანიკური გამოყენება

შენგელი  
კიკილაშვილი

აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი 17  
E-mail: shengelikikilashvili@gmail.com

### რეცენზენტები:

**ნ. ჩხარტიშვილი**, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: n\_chkhartishvili@gtu.ge

**ი. დანელია**, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: i.danelia@gtu.ge

**ანოტაცია.** ველური (გარეული, ტყის) ვაზი *Vitis vinifera subsp. sylvestris* (C.C.Gmel.) Hegi საქართველოს ფლორის მცენარეა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული წარსულში. შედეგად მივიღეთ რეგიონალურ სახელთა დიდი სინონიმური მრავალფეროვნება, რომელთა შორის დომინირებს: კრიკინა, ბაბილო, მორცხულა, ბრძღუამლი, ძღვამლი სხვადასხვა ვარიაციით.

კრიკინა ვაზის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილია ის, რომ მან, როგორც ვაზის კულტურული ჯიშების წინამორბედმა, დასაბამი მისცა ვაზის სელექციას საქართველოს ტერიტორიაზე და გვევლინება ადგილობრივი ჯიშების შორეულ წინაპრად. ამას გარდა, როგორც ეთნობოტანიკურმა კვლევებმა აჩვენა, საქართველოს ტყეებში გავრცელებული ველური ვაზი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა

საკვებს (ყურძენი, მწნილი), სასმელს (მაჭარი, ღვინო, არაყი), საშენ მასალას (შენობები, ეკლესიის კარები, ხიდები), ქვევრის სარეცხ საშუალებას, დამამტვრიანებელს ვაზის ჯიშებისათვის, თაფლოვან მცენარეს, საძირეს, ვენახის გასაშენებლად გამოყენებულ მცენარეს.

**საკვანძო სიტყვები:** ველური/გარეული ვაზი; კრიკინა; მცენარის გამოყენება; რეგიონალური სახელები.

### შესავალი

ქართული ველური ვაზი მრავალმხრივი შესწავლის საგანია, თუმცა ეთნობოტანიკური კვლევები მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ნაშრომი სწორედ ასეთ შესწავლას ისახავს მიზნად, ხოლო შედეგები საინტერესო ინფორმაციას იძლევა კრიკინა

ვაზის სახელებისა და გამოყენების შესახებ.

კრიკინა ანუ ველური ვაზი *Vitis vinifera* subsp *sylvestris* (C.C.Gmel.) Hegi საქართველოს ფლორის ერთ-ერთი წარმომადგენელია და ფართოდ გავრცელებული იყო მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ამერიკიდან ჭრაქისა და ნაცრის გამომწვევი პათოგენებისა და საშიში მავნებლის - ფილოქსერას შემოჭრამ საკმაოდ შეამცირა ამ მცენარის რაოდენობა და დღეს ის მხოლოდ ეპიზოდური სახით არის შემორჩენილი საქართველოს ორივე ნაწილში.

მეორე მხრივ, ქართულმა ველურმა ვაზმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპული ვაზის (*Vitis vinifera* L.) დომესტიკაციაში და ვაზის ქართული ჯიშების შექმნაში, როგორც ამ კულტურის ველურმა წინაპარმა (Вавилов, 1931). ის იმავდროულად კრიკინა ვაზის ერთიანი პოპულაციის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ მნიშვნელოვანი როლია ვაზის დომესტიკაციის პროცესების ახსნაში (Maghradze et al., 2011). საჭიროა ყველა ინფორმაციის შეგროვება კრიკინას შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი სამსახური შეუძლია გაუწიოს მეცნიერებს ამ მცენარის შესახებ ცოდნის ამაღლებაში.

კრიკინას ბიოლოგიის, ამპელოგრაფიის, ეკოლოგიისა და გენეტიკის საკითხების კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოში მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან და ბევრი ნაშრომიცაა გამოქვეყნებული ამ თემაზე. მაგრამ, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კრიკინა ვაზის რეგიონალური სახელწოდებები და ადამიანის მიერ მისი გამოყენება საქართველოში ცალკე კვლევის საგანი აქამდე არ ყოფილა. ეთნობოტანიკური კვლევის ამ მიმართულებას მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია

შეიტანოს ველური ვაზის გავრცელებისა და მის შესახებ არსებული ცოდნის გაღმავებაში.

„ეთნობოტანიკა (*Gk. Ethnos* - ხალხი, *botane* - ბალახი, *მცენარე*) ბოტანიკის დარგია, რომელიც აგროვებს და სისტემაში მოჰყავს ხალხში გავრცელებული ცოდნა და ტრადიციები მცენარეების შესახებ“ (გოგიჩაძე და სხვა, 2011). ამ მიმართულებით მხოლოდ ეპიზოდური ინფორმაციებია გაბნეული სამეცნიერო ლიტერატურაში კრიკინას შესახებ (მაღრაძე და სხვა 2020) და ისინი აქამდე ერთად შეკრებილი და სისტემატიზებული არ ყოფილა. ნაშრომის მიზანია სწორედ ველური ვაზის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ეთნოგრაფიული ცოდნის შეკრება და გამომზეურება.

## ძირითადი ნაწილი

### მასალები და კვლევის მეთოდი

კრიკინას შესახებ ეთნოგრაფიული ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია მოხდა ლიტერატურული წყაროების კვლევის შედეგად.

### შედეგები და განსჯა

#### ბოტანიკური კლასიფიკაცია და სინონიმები

ველური ვაზი *Vitis vinifera* ssp. *sylvestris*. ბოტანიკური კლასიფიკაციით მიეკუთვნება *Vitis* L. გვარს და ევროპული ვაზის *V. vinifera* L. სახეობის ქვესახეობაა კულტივირებულ ვაზთან *Vitis sativa* DC. ერთად. ველური ვაზის სხვა სინონიმებია: 1) *V. sylvestris* C. C. Gmel; 2) *V. vinifera sylvestris* (C. C. Gmel.) DC; 3) *V. vinifera* L. subsp *sylvestris* (C.C. Gmel) Hegi; 4) *Vitis vinifera* ssp. *sylvestris* (Gmelin) Hegi; 5) *V. vinifera silvestris* Beck.

**ქართული სახელები და სინონიმები**  
ველური/გარეული/ტყის ვაზის სახელის მრავალფეროვნება მხოლოდ სამეცნიერო სფეროს არ მოიცავს. ველური ვაზის გავრცელებამ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პრევენციაში მისი სახელის მრავალფეროვნება გამოიწ-

ვია. ამის გამო, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მას განსხვავებული სახელით იცნობენ (ცხრილი). ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ამ მცენარის ხანგრძლივი და ფართო გავრცელებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

**კრიკინას სინონიმური სახელწოდებები საქართველოს რეგიონებში**

დასახელება	მხარე, დიალექტი	ავტორი
ბაბილო	მთიულეთი	მაცაშვილი (1961), ჩიქოზავა (1985)
ბაბილო, ტყის ბაბილო, მთის ბაბილო	ქართლი	მაცაშვილი(1961), ასათიანი (1978)
ბრძღამლი	ქართლი, ცხინვალის	ასათიანი (1978)
ბურზღამი, ბურზღამ, ბერზღამი, მამალ ვაზ	საინგილო	მაცაშვილი (1961), ასათიანი (1978)
ბურძღამი	საინგილო, კახეთი	ასათიანი (1978)
დათყურძენა, ძღვამლი, რძღვამლი, ძღვამბლი, ზღვამბლი	რაჭა	მაცაშვილი (1961), ასათიანი (1978), ორბელიანი (1991)
იაბან ყურძენი (ტყის ყურძენი)	ტაო-კლარჯეთი	ჩარკვიანი (2011)
კაჭიჭი	იმერეთი	ასათიანი (1978)
კირკენა	ფშავი	მაცაშვილი (1961)
კირკენა, ჭანჭყატო, კრიკენა	ქიზიყი	მაცაშვილი (1961), ასათიანი (1978)
კრიკინა	ფშავი, კახეთი, იმერეთი	მაცაშვილი (1961), ასათიანი (1978), ორბელიანი (1991)
კრიკინა	ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა	ასათიანი (1978), ჩიქოზავა (1986)
მენცხერო, მოცხარი, ომცხვარო	ლეჩხუმი	მაცაშვილი (1961)
მორცხულა	გურია	მაცაშვილი (1961), ასათიანი (1978)
მოცხარი, მენცხერო, ომცხვარო	ლეჩხუმი	ასათიანი (1978)
მტკუი ბინეხი	ჭანურ დიალექტში	მაცაშვილი (1961)
პანტაყურძენი	აჭარა	ასათიანი (1978)
ტყარ ყუნზელ, ცხეკიში ყუნზელ, ჰერწმიში ყუნზელ	სვანეთი	მაცაშვილი (1961)
უსურვაზი	ქართლი, კახეთი	ასათიანი (1978), ჩიქოზავა (1986)
ჩიტიში ყურძენი	სამეგრელო	მაცაშვილი (1961)
ძალყურძენა, ბურუხი, ბრძღვამლი, ძღვლამი, რძღვლამი, ზღვამილა	იმერეთი	მაცაშვილი (1961), ასათიანი (1978)
ძღვამბლი	რაჭა, ლეჩხუმი	ასათიანი (1978)
ძღვამლი	-	ორბელიანი (1991)
კრიკინა, უსურვაზი, ძღვამლი, ბურძღამლი, მორცხულა, ბურეხი, შხურჩი, ტყის ყურძენი	საქართველო (ზოგადად)	ნანობაშვილი (1960), ივ. ჯავახიშვილი (1986), ჩოლოყაშვილი (1983), ორბელიანი (1991), ფრუიძე (2016)

როგორც ვხედავთ, გარეული ვაზის / ტყის ყურძნის ამსახველი სახელებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ხუთი ყველაზე გავრცელებული სახელი ვარიაციებით:

1. **ბაბილო** (ტყის ბაბილო, მთის ბაბილო);
2. **კრიკინა** (ვაზი კრიკინა, კირკინა, კირკენა, კრიკენა);
3. **მორცხულა** (მორცხვილი, მოცხარი, მენცხე-რო, ომცხარო);
4. **ბრძღამლი** (ბურზღამი, ბურზღამ, ბერ-ზღამი, ბურძღამი, ბურძღამლი);
5. **ძღვამლი** (ძღვამლი, რძღვამლი, ზღვამლი, ბრძღვამლი, ძღვამლი, რძღვამლი, ზღვამლი).

წარმოდგენილი სახელების ანალიზიდან ირკვევა, რომ „კრიკინა“ არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ველური ვაზის სახელი საქართველოს კუთხეებში (კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა). ის ერთ-ერთი ძველი სახელიცაა ამ მცენარისათვის, რომელიც სულხახ-საბა ორბელიანს მოხსენიებული აქვს 1715 წელს შედგენილ „ლექსიკონ ქართულში“ (ორბელიანი, 1991).

#### **ველური ვაზის გამოყენება**

ადამიანის მიერ ველური ვაზის ყურძნის მოხმარებას იხსენიებენ ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა (გამბა, 1987), რომელმაც საქართველოში 1820-1824 წლებში იმოგზაურა და ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი, 1843 წელს მოგზაურობისას (ჰაქსტჰაუზენი, 2011 წ.). ი. ნანობაშვილის (1960) მიხედვით ქიზიყში შეგროვებული კრიკინა ვაზის ნაყოფი ზამთარში საკმაოდ დროით ინახებოდა, რაც მიუთითებს მის საჭმელ ყურძნად გამოყენებაზე.

ლ. ფრუიძის (1974) მიხედვით, რაჭაში ველურ

ვაზის ნაყოფს ძირითადად მწყემსები, მონადირეები და ტყის მჭრელები აგროვებდნენ საკვებად. თუმცა ავტორი ასევე აღნიშნავს ფერისცვალების დღესასწაულში მისი როლს: ამ დროს რაჭველები მაცვლის შეჭამანდს, უსათუოდ, „ძღვამლის“ ისრიმის წვენი ანელებდნენ.

„ტყის ვაზის მკვახე ნაყოფს მოსახლეობა დიდი რაოდენობით აგროვებს და მწნილად ხმარობს“, - აღნიშნავდა ნ. ჩოლოყაშვილი (1983).

კავკასიის მთის ხეობებში არსებული ვაზები ხეებზეა ასული და მისგან მოსახლეობა ღვინოს ამზადებს, - წერდა ჟან შარდენი (2014) მე-17 საუკუნეში საქართველოში მოგზაურობისას. ველური ვაზისაგან ღვინის დაყენების პრაქტიკაზე მიუთითებდნენ: დავით გურამიშვილი (1980) მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, იაკობ რაინგესი (2002) - მე-18 საუკუნის 70-80 წლებში და ედუარდ აიხვარდი (2005) - 1825-1826 წლებში.

საქართველოში ველური ვაზის ყურძნიდან ღვინის დაყენება მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე ხდებოდა - უხუცესებზე დაყრდნობით ასეთი ინფორმაცია მოჰყავთ ა. მათიაშვილს (1968) და ლ. ფრუიძეს (1974). ეს უკანასკნელი ასახელებს ფაქტს ძღვამლის დაწურვის შესახებ რაჭაში, როდესაც მოზარდები აყენებდნენ მაჭარს უფრო სახალისოდ, ვიდრე ოჯახური საჭიროებისათვის.

ქიზიყის „უკანა მხარეში“, მდ. ივრის ნაპირებთან, უწინ იმდენად ბევრი კრიკინა ყოფილა, რომ ბოდბელებს მისი ყურძენი ურმებით გადმოუზიდავთ, ქვითკირის საწნახლებში დაუწურიათ მაჭარისთვის (ნანობაშვილი, 1960). ქიზიყელები კრიკი-

ნას „შინაურ“ ყურძენთან ერთადაც წურავდნენ, მისი ღვინო „მაგარი დასალევი“ ყოფილა.

ქიზიყელეების მსგავსად, საინგილოშიც ყოფილა გავრცელებული გარეული ვაზის წვენისა და ჭაჭის დამატება თეთრი ყურძნის ტკბილისათვის საფერავის ჭაჭასთან ერთად, რაც ღვინოს ვარდისფერ შეფერვას და არომატს აძლევდა, „აკეთილშობილებდა“ (კიკაჩიშვილი, ხუციშვილი, 1974). ასეთ ღვინოებს ინგილოები „ხოხბისყელა ღვინოებს“ უწოდებდნენ და საპატიო სტუმრებს უმასპინძლებდნენ (ხუციშვილი, 1980).

აფხაზეთში ველური ვაზისაგან არყის დამზადებას აღნიშნავს ედუარდ აიხვარდი (2005).

საინტერესოა ქიზიყში კრიკინა ვაზისაგან ვენახის გაშენების პრაქტიკა: „უწინ, როცა უკანა მხარში ვაზები მოშინაურებული სულ არ იყო და განიზრახეს ვაზების გაშენება, ივრის ნაპირებზე უამრავი კრიკინა ვაზიდან ზოგიერთს გადააწვენდნენ; გადაწვენილები აქა-იქ ვაზის ძირიდან იზრდებოდა, გაზრდილებს გლეჯდნენ და მათი მემკვიდრით აშენებდნენ ვაზებს ბოდბე-მადაროში“ (ნანობაშვილი, 1960).

ველური ვაზის გამოყენების შესახებ ინფორმაციას ნ. ვავილოვის (Вавилов, 1931) ნაშრომშიც ვხვდებით, სადაც ის საუბრობს საქართველოში გავრცელებულ პრაქტიკაზე, როდესაც მოსახლეობა კულტურულ ვაზს სწორედ ველურ ვაზზე ამყნობდა.

ნ. ჩოლოყაშვილის (1983) მიხედვით, კრიკინა ვაზის ყვავილის მტვერს ზოგიერთ რაიონში იყენებენ კულტურული ვაზის დასამტვერად, რაც მოსავალს ზრდის. დ. სოსნოვსკის აზრით (Сосновский, 1949) ეს პრაქტიკა ბოლნისის რაიონშიცაა. ინფორმაცია ამავე მიზნით ვაზის გამოყენების შესახებ

არსებობს გარდაბნისა და თეთრი წყაროს (სოფ. ასურეთი) რაიონებიდანაც (დ. მაღრაძე, პერსონალური ინფორმაცია).

კრიკინა მიჩნეულია საუკეთესო თაფლოვან მცენარედ (ჩოლოყაშვილი, 1983).

საინგილოში პატარა ქვევრებს ჯერ ბალამწარას კანისაგან დამზადებული სარცხით რეცხავდნენ, ხოლო შემდეგ გარეული ვაზის სახეხით, ვიდრე წითელ ფერს არ მიიღებდა (ხუციშვილი, 1980).

ველური ვაზის მერქნისგან ეკლესიის აღსავლის კარის დამზადების შესახებ ინფორმაციას ერ. ნაკაშიძე იძლევა (1929).

ველური ვაზის ლერწის გამოყენების შესახებ ლ. ფრუიძეს (2016) მაგალითად მოჰყავს გ. გობეჯიშვილის მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნაგებობები, რომელთა ნაწილს ვაზის ლერწმისგან დაწნული კედლები ჰქონდა და რომელიც გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანას განეკუთნება.

ლ. ფრუიძესვე (2016) მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ლერწის ანუ „ბონდის“ ხიდის არსებობის შესახებ მდინარე ცხენისწყალზე, რომელსაც ლერწის სახელურები ჰქონია. ავტორის განმარტებით, ძველად ამ მიზნით გარეულ ვაზს სახიდე ადგილებში რგავდნენ, რქებს ერთმანეთში გადაახვევდნენ და ისე ზრდიდნენ – ცოცხალი ვაზის რქის ბაგირი გამძლე და საიმედო ყოფილა.

## დასკვნა

სამეცნიერო ლიტერატურაში და საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში ველურ ვაზს სინონიმური სახელებით მოიხსენიებენ, რომელთა

შორის უფრო ხშირად იხმარება „კრიკინა“, „ბაბილო“, „მორცხულა“, „ძღუამლი“, „ძღვამბლი“. „კრიკინა“ ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ძველი სახელია ამ მცენარისათვის. იმავდროულად, რეგიონალური სახელების ასეთი სიმრავლე მეტყველებს კრიკინას ფართოდ გავრცელებაზე საქართველოში.

გარდა იმისა, რომ კრიკინა კულტურული ვაზის სელექციის საწყისი იყო ჩვენს ქვეყანაში, მას მრავალფეროვანი დანიშნულებით იყენებდნენ: ყურძნის საკვებად მოხმარება – ნედლი და მწნილის სა-

ხით; მაჭრის, ღვინისა და არყის დამზადება; საშენ მასალად – ეკლესიის კარების, შენობებისა და ხიდების ასაგებად; დამამტვერიანებლად – ვაზის ჯიშებისათვის და თაფლოვან მცენარედ; საძირედ; ვენახის გასაშენებლად; ქვევრის გასარეცხად.

სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „საქართველოს ველური ვაზი: შესწავლა და დაცვა“ (გრანტის ნომერი 18-18474) ფარგლებში.

### ლიტერატურა

1. Aikhvard E. About Georgia (first third of the XIX century) Translated from German into Georgian by G. Gelashvili. 2005 Tbilisi. pp. 332. (In Georgian).
2. Asatiani L. Vocabulary related to vine culture in Georgia. 1978 Tbilisi. pp. 86-91 (In Georgian).
3. Charkviani A., Maglaperidze L., Khuchua L. Wild grapevine of Tao-Klarjeti. Student expedition "Tao-Klarjeti 2011". Collection of the papers. "Free University" Publisher. 2011. Tbilisi. pp. 60-76. (In Georgian).
4. Chikobava A. (Editor). Dictionary of Georgian Language. In- Volume. Institute of Languages of the Georgian Academy of Sciences. Georgian Soviet Encyclopedia 1986. Tbilisi. pp. 270 (In Georgian).
5. Cholokashvili N. Family *Vitaceae*. Flora of Georgia. 2nd edition. Publishing House "Ganatileba". 1983. Tbilisi. Vol.8. pp. 274-278 (In Georgian).
6. Chardin J. Travel to Georgia. Translated by V. Barnov. 2014. Tbilisi. pp. 36-58 (In Georgian).
7. Gamba. J.F.. Travel to Transcaucasia. Translated from French into Georgian M. Mgaloblishvil. 1987. Tbilisi. pp. 225 (In Georgian).
8. Gogichadze G., Kandelaki G., Gogichadze T. Dictionary: biological and medical terms and concepts. Publishing House „Meridian“. 2011. Tbilisi. pp. 442. (In Georgian).
9. Guramishvili, D. Davitiani (Book of David), Poem, Publishing houses "Khelovneba", Tbilisi, Georgia and "Mistectvo", Kiev, Ukraine, 1980. pp 85 (in Georgian).
10. Huxthausen A. About Georgia (first half of the XIX century). Translated from German by G. Gelashvili. 2011 Tbilisi. pp. 40-226 (In Georgian).
11. Javakhishvili Iv. Economic History of Georgia. The second Book. Selected scientific works in twelve volumes. Volume 5. Tbilisi. 1986. pp. 308-311 (In Georgian).
12. Kikacheishvili R., Khutsishvili I. Peculiarities of wine making and other grape products in Saingilo. Scientific works of the institute of Horticulture, Viticulture and Oenology.- Vol 13. 1974. Tbilisi. pp.240 (In Georgian).
13. Khutsishvili I. Viticulture in Saingilo. 1980. Tbilisi. pp. 19 (In Georgian).

14. Magradze D. Krikina (wild) grapevine in Georgia. *Veluri Buneba*. 2020. Tbilisi. pp. 46-49 (In Georgian).
15. Maghradze D., Failla O., Imazio S., Becilieri R., Chipashvili R., Rubio O. R., Quattrini E., This P., Scienza A. Wild grapevine in Georgia. *Origini della Viticoltura*. 2011. Pg 183-107 (In English).
16. Makashvili A. Botanical Dictionary. Plant names. 1961. Tbilisi. pp. 260 (In Georgian).
17. Matiashvili A. Vine and wine in Davitiani. *Dzeglis Megobari*. Vol. 16. 1968. Tbilisi. pp. 69 (In Georgian).
18. Nakashidze E. Viticulture and winemaking in Guria-Samegrelo, Adjara and Abkhazia. Publishing House "Sakhelgami". 1929. Tbilisi. pp. 61 (In Georgian).
19. Nanobashvili I. Old vine culture in Qiziki. 1960. Tbilisi. pp. 47-52 (In Georgian).
20. Orbeliani S.S. Georgian Dictionary. In two volumes. Edited by I. Abuladze. Publishing House. "Merani" 1991. [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=21101](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=21101) (In Georgian).
21. Pruidze L. Viticulture and winemaking in Georgia. The first book: Racha. 1974. Tbilisi. pp. 47-51 (In Georgian).
22. Pruidze L. History of viticulture and winemaking of Georgia. In two vols. Vol.2 Viticulture. 2016. Tbilisi. pp. 38-64 (In Georgian).
23. Reingens I. Travel to Georgia. Translated from German into Georgian by G. Gelashvili. 2002 Tbilisi. pp. 131-157 (In Georgian).
24. Sosnovskii D.I. Grapes - *Vitaceae* Lindl.: Flora of the USSR. In 30 volumes. Vol. 14. Ed. in chief Komarov V.L. Publishing house of the Academy of Sciences of the USSR. Moscow-Leningrad, 1949. pp. 700 (In Russian).
25. Vavilov N.I. Wild relatives of fruit trees in the Asian part of the USSR and the Caucasus and the problem of the origin of fruit trees. Works on applied botany, genetics and breeding, v. 36. No. 3. [The edition was used: Academician NI Vavilov - Selected works in five volumes. Volume II. Publishing house of the USSR Academy of Sciences. 1931 Moscow-Leningrad . pp. 343-361 (In Russian).

UDC 634.8

SCOPUS CODE 1101

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-29-37>

## Local Names of Wild Grapevine in Georgia and Its Ethnobotanical Use

**Shengeli Kikilashvili** Department of Agricultural Technologies, Georgian Technical University, Georgia,  
0192, Tbilisi, 17 D. Guramishvili ave  
E-mail: shengelikikilashvili@gmail.com

### Reviewers:

**N. Chkhartishvili**, Professor, Faculty of Agrarian Sciences and Biosystems Engineering, GTU  
E-mail: n\_chkhartishvili@gtu.ge

**I. Danelia**, Professor, Faculty of Agrarian Sciences and Biosystems Engineering, GTU  
E-mail: i.danelia@gtu.ge

**Abstract.** Wild grapevine *Vitis vinifera* subsp. *sylvestris* (C.C.Gmel.) Hegi is a typical plant of Georgian flora, spread in our country. Consequently, a numerous number of local synonym names of this plant are available in different historical-ethnographic provinces of Georgia. Among these names 'Krikina', 'Babilo', 'Mortskhula', 'Brdzghuamli' and 'Dzghvamli' are more spread, having different spelling variations.

The great contribution of wild grape is that it, as an ancestor of cultivated grapevine, made the basis of grape breeding in Georgia and is a distant relative of our varieties. Besides, as it was demonstrated by the ethnobotanical research, due to long period present in the forests of Georgia the local people used this plant as a food (grape, pickles), a beverage (young fermented wine 'Machari', wine, grappa), a construction material (buildings, door for a church, breedge), a tool for washing Qyevri, a pollinator for grape cultivars, a honey plant, a rootstock, a planting material for vineyards.

**Key words:** 'Krikina'; plant usage; pollinator; regional names; rootstock; wild grapevine; wine.



UDC 634.8

SCOPUS CODE 1101

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-29-37>

## Местные названия дикого винограда в Грузии и его этноботаническое использование

**Шенгели**                      Департамент Аграрных технологий, Грузинский технический университет,  
**Кикилашвили**                Грузия, 0192, Тбилиси, Пр. Д. Гурамишвили 17  
E-mail: shengelikikilashvili@gmail.com

### Рецензенты:

**Н. Чхартишвили**, профессор факультета аграрных наук и биосистем инженеринга ГТУ  
n\_chkhartishvili@gtu.ge

**И. Дanelia**, профессор факультета аграрных наук и биосистем инженеринга ГТУ  
E-mail: i. danelia@gtu.ge

**Аннотация.** Дикий виноград *Vitis vinifera* subsp. *sylvestris* (C.C.Gmel.) Hegi - типичное растение грузинской флоры, распространенное в нашей стране. Следовательно, в разных историко-географических провинциях Грузии имеется большое количество местных синонимов этого растения. Среди них более распространены «Крикина», «Бабило», «Морцхула», «Брдзгуамли» и «Дзгвамли», имеющие разные варианты орфографии.

Большой вклад дикого винограда заключается в том, что он, как предок культивируемой виноградной лозы, лег в основу генофонда грузинских сортов и является дальним родственником наших сортов. Кроме того, как показали этноботанические исследования, благодаря длительному распространению в лесах Грузии, местное население употребляло его как пищу (виноград, соленья), напиток (молодое ферментированное вино «Мачари», вино, водка), строительный материал (постройки, церковные двери, мосты), средство для мытья кеври, опылитель для сортов винограда, медонос, подвой, посадочный материал для виноградников.

**Ключевые слова:** вино; дикий виноград; использование растений; «Крикина»; опылитель; подвой; региональные названия.

*განხილვის თარიღი 10.02.2021*

*შემოსვლის თარიღი 24.02.2021*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2021*